დადგენილება:**დ-95. 95233636**

თარიღი:**29/12/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N14
29 დეკემბერი 2023 წ.

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი დანართი №3-ის შესაბამისად

მუხლი 4.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად

გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 29/12/2022, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016358).

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი